

ლელო

№ 237
(4231)

1970 წ.

დეკემბერი.
სუთხაბათი.
შანი • ააა.

საბ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ქვეყნი

● ბალინი, 1 დეკემბერი. აქ მიმდინარეობს საქართველოს სსრ-ის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი. მასში 12 ტური, ტექნიკური და მუსიკალური შეჯიბრებას 2 ლიდერი ჰყავს — გაუნტერაგი და მ. კორნოვი — 8-8 ქულა.

● დონის როსტოვი, 1 დეკემბერი. ამ ქალაქში 4 დღეს იყო სტუმრად მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჯადრაკში, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი, რომელმაც ჯადრაკის ადგილობრივ მოყვარულებთან მოაწყო რამდენიმე ერთდროული თამაშის სერისი. მშენებელთა კლუბში მ. ბოტვინიკმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ჯადრაკსა და მოჭადრაკეებზე“, და პასუხი გასცა შეკითხვებზე.

ქვეყნი

საქართველოში როგო ქონდა...

ლენინის ორდენისანი „თბილგვირაბშენის“ მუშაკებს კარგად ესმით ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა. სხვადასხვა სახეობის სექციებში 400-მდე სპორტსმენია ჩაბმული. მათგან 30 პირველთაწიგოსანია, 70 — მეორე და 150 — მესამეთაწიგოსანი.

სწორედ ტარდება შიდასკოლექტივო სპორტკონკურსები. წლებადღეობის ბოლო სპორტკონკურსი 5 სახეობაში ჩატარდა. ტყეის სროლაში მოეწყო პირადი პირველობა. გაიმარჯვა გვირაბშენის მუშაკთა რაზმი, რომელმაც ყველა სახეობაში პირველი ადგილები დაიკავა.


მორიგი სპორტკონკურსი, რომელიც ახალი წლიდან დაიწყო, მიეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

10 წელზე მეტია, რაც „თბილგვირაბშენის“ სპორტსმენები „ლოკომოტივის“ სპორტკონკურსში გამოდიან და კომპლექსურ ჩათვლაში III საპირის ადგილებზე ნაკლები წარმატება არ მოუპოვებიათ.

ყველაზე ნაყოფიერად მიიწვია კალათბურთის სექცია მუშაკებს. მისმა ხელმძღვანელმა რ. მესხიშვილმა გვითხრა, რომ კალათბურთელები წარმატებით იცავენ „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს სპორტულ ღირსებას. წლებადღეობის რესპუბლიკურ პირველობაში მათ III ადგილი დაიკავეს. კალათბურთელებს არც სხვა სახეობის წარმატებები ღირსებდათ. მაგისტის როგობურთელებმა წლებადღეობის II, ფიზიკურთელებმა III, მოჭადრაკეებმა IV ადგილები დაიკავეს.

მეტრომშენებელთა წარმატება უფრო თვალსაჩინო იქნებოდა საქმარის რაიონში სპორტკონკურსის სპორტული ბაზები რომ ქონდით. დღეს მათს განკარგულებაშია მხოლოდ ერთი და ისიც კეთილმოწყობილი დარბაზი. ამიტომაც სპორტსმენები იძულებული არიან საგზაო საბჭოს ბაზებით ისარგებლონ.

თ. მორგოზია.



ბულგარელი სტუმრები თბილისში

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქართველო კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში სტუმრად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ამ კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ბ. მარტინსკი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანი ს. სტოიანოვი და სხვ.

ბულგარელი სტუმრები უკვე იყვნენ მოსკოვში, ლვოვში, კიევიში, აქ ისინი ეცნობოდნენ ამ ქალაქების სპორტული ორგანიზაციების საქმიანობას, ღირსშესანიშნაობებს.

გასულ სამშაბათს ბულგარელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ. აქ მათ შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული

ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. სინბრულიძემ, ფიზიკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძემ, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების წარმომადგენლები და სხვ.

გუშინ და გულს ბულგარელი სტუმრები ეცნობოდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების საქმიანობას. მათ დაათვალიერეს დედაქალაქის სპორტული ნაგებობანი, იყვნენ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში, მცხეთაში და სხვაგან.

ს უ რ ა თ ე: ბულგარელი სტუმრები თბილისის აეროპორტში.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ორი სენსაცია

გუშინ და გულს გაიმართა კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

რიზა. ორი გასული მატჩი კაუნასის „ჟაგირისმა“ წარმატებით ჩაატარა და ქულათა მაქსიმუმი აიღო. ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ იგი მესამე მატჩსაც მოიგებდა რიგაში, ადგილობრივ ვეფ-თან. ეს რწმენა განსაკუთრებით მას შემდეგ განმტკიცდა, როცა ლიტვლებმა მოსკოვში „დინამო“ დამარცხეს. მაგრამ კალათბურთში წინასწარ რაიმეს დაბეჭდვით თქმა შეუძლია.

თბილქური მონაცემებით, „ჟაგირისს“ ალბათ უნდა მოეგო კიდევ. მაგრამ არსებობდა სუბიექტური მონაცემებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ ფაქტს: ჯერ ერთი, ვეფ-ში მინიშნებები და, მეორეც, თბილისის „დინამოსთან“ მარცხის შემდეგ ლატვიელები „გამწარბულნი“ იყვნენ.

ერთი სიტყვით, ვეფ-მა მოედანზე ნამდვილი ცეცხლი დაანთა და მეტოქეს გონს მოსვლის საშუალება არ მისცა. „ნოკდაუნდანი“ გამოსულ „ჟაგირისს“ უკვე რწმენა ჰქონდა დაკარ-


გული და მორჩილად შეურიგდა ბედს. ამ გამარჯვებამ ვეფ-ს (83:78) საგრძნობლად გამოუკეთა საკმე.

მინსკი. ბოლოს და ბოლოს, პირველი გამარჯვება იწვევს ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებს. ახლა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის უქუთოდ არავინაა დარჩენილი. მაგრამ ქულაც არის და ქულაც. დებიუტანტმა გამარჯვება ისეთ ძლიერ მეტოქეს გამოგლიჯა, როგორცა ტარტუს „კალევი“ — 67:65. ამ ფაქტს კომენტარი არ სჭირდება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის

„სტორიბლი“ (კიევი)	თ.	გ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	3	0	213—180	3
„შალგირისი“ (კაუნასი)	4	3	1	286—264	3
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	3	2	1	244—224	2
ვეფ (რიგა)	3	2	1	194—172	2
„დინამო“ (მოსკოვი)	4	2	2	310—305	2
„დინამო“ (თბილისი)	3	1	2	248—250	1
„ტალპი“ (ტარტუ)	2	1	1	168—175	1
სსტ (რიგა)	4	1	3	272—285	1
სსტ (კიევი)	3	1	2	199—213	1
„ბურვესტნიკი“ (თბილისი)	3	1	2	205—224	1
რტი (მინსკი)	3	1	2	208—231	1
	3	1	2	175—199	1



როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში, ლუნიჩის სპორტის სახალხოში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება ინტერვიზიის თასზე, რომელშიც მ ქვეყნის — გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები გამოდიოდნენ. შესანიშნავად იასპარეზა კიეველმა ლ. სერედამ, რომელმაც მოიხვეჭა კიდევ ეს საპატიო ჯილდო.

განსაკუთრებით კარგი იყო ვარჯიში სახტუნელათი, რომელიც სერედამ ვირტუოზულად, მსუბუქად, მოხდენილად შეასრულა. მსახტო შეფასებაც მაღალი იყო — 9,8 ქულა. ი. შალამოვის სურათზე თქვენ სწორედ სერედას ხედავთ სახტუნელათი ვარჯიშის დროს.

თბილისის სპორტული საზოგადოება

კალათბურთი. სპორტის სახალხო. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 8 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ბურვესტნიკი“ (თბილისი). 6 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (კიევი). 8 დეკემბერი. „ბურვესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი). დასაწყისი: სათაღარიგო შემაღველობებისა — 18 ს. ძირითადი შემაღველობებისა — 20 ს.

